საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-588

ქ. თბილისი

04/05/2021

უცხოური საწარმოს ფილიალი „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოს“ სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების (რეკონსტრუქციის) პროექტის ფარგლებში, 56 კმ სიგრძის მაღალი წნევის ახალი მაგისტრალური გაზსადენის ტრასის ცვლილებაზე (29.2 კმნ-დან-30.1 კმნ-მდე 820 მ სიგრძის 48 დუიმი გაზსადენით) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2021 წლის 2 აპრილს სამინისტროს მომართა უცხოური საწარმოს ფილიალი „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოს“ დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2015 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ უცხოური საწარმოს ფილიალი „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოს“ სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების (რეკონსტრუქციის) პროექტის ფარგლებში, 56 კმ სიგრძის მაღალი წნევის ახალი მაგისტრალური გაზსადენის ტრასის ცვლილებაზე (29.2 კმნ-დან-30.1 კმნ-მდე 820 მ სიგრძის 48 დუიმი გაზსადენით) გაიცა №67 (18.11.2015) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2015 წლის №67 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „უცხოური საწარმოს ფილიალ „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოს“ საქართველოს“ სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების (რეკონსტრუქციის) პროექტის ფარგლებში, 56 კმ სიგრძის მაღალი წნევის ახალი მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (29.2 კმნ-დან-30.1 კმნ-მდე 820 მ სიგრძის 48 დუიმი გაზსადენით) ცვლილებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 20 ნოემბრის №ი-901 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2015 წლის №67 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. უცხოური საწარმოს ფილიალი „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოს“ სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების (რეკონსტრუქციის) პროექტის ფარგლებში, 56 კმ სიგრძის მაღალი წნევის ახალი მაგისტრალური გაზსადენის ტრასის ცვლილებაზე (29.2 კმნ-დან-30.1 კმნ-მდე 820 მ სიგრძის 48 დუიმი გაზსადენით) გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №67; 18.11.2015);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „უცხოური საწარმოს ფილიალ „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოს“ საქართველოს“ სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების (რეკონსტრუქციის) პროექტის ფარგლებში, 56 კმ სიგრძის მაღალი წნევის ახალი მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (29.2 კმნ-დან-30.1 კმნ-მდე 820 მ სიგრძის 48 დუიმი გაზსადენით) ცვლილებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 20 ნოემბრის №ი-901 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს უცხოური საწარმოს ფილიალ „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოს“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს უცხოური საწარმოს ფილიალი „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

8. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი